



MES 4 20 0001025108



22/10/2020

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი 12/10/2020

სხდომის დაწყების დრო 12:30 სთ

სხდომის დამთავრების დრო 14:00 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ნინო ოკრიბელაშვილი

საბჭოს მდივანი - დავით ჭეიშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

თამარმასიკაშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის N64 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

დავით ჭეიშვილი - სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N87 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს მდივანი;

თამარ ვეფხვაძე - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

მანანა სამხარაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

თეასიფრაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი;

თამართორია - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

ნინოკველიძე - შპს "აღმოაჩინე საქართველოს" დირექტორი;

ელგუჯამელაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომაზედამსწრეები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

ანა ლელაძე - განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი:

შალვაპეტრიაშვილი - რექტორი;

თემურხუროძე - კანცლერი;

გიორგიწილოსანი - პროგრამის ხელმძღვანელი;

ავთანდილგაგნიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ნიათაბაგარი - პროგრამის შემუშავების ჯგუფის კონსულტანტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ოკრიბელაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁷ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ არა

სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა.

1. პირველი საკითხი - შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიან სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააკველიაციო საჩივრის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
3.	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
4.	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი 0912
5.	სწავლების ენა	ინგლისური
6.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
7.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	03/07/2020

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადი

✓ არა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების ჩართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააკველიაციო საჩივარსა და დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აპელანტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, შალვა პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი დაფუძნდა ორი კლინიკის ბაზაზე. აღნიშნული კლინიკებია ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა და თბილისის ბალნეოლოგიური საავადმყოფო. დაწესებულებას ამასთან ერთად დაახლოებით 15 კლინიკასთან აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი და ამ გარემოებით შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი განსხვავდება ზოგიერთი სხვა უნივერსიტეტისაგან, როდესაც ჯერ იქმნება უნივერსიტეტი და შემდეგ იწყება შესაძლო საბაზო კლინიკების შერჩევა. 2018 წლის განმავლობაში, უნივერსიტეტის უმთავრესი ძალისხმევა მიმართული იყო ინსტიტუციური ავტორიზაციის მიღებაზე. 2019 წლის 26 ივნისს

უნივერსიტეტმა მიიღო ავტორიზაცია და ამ პერიოდიდან დაიწყო უკვე ინტენსიური მუშაობა პროგრამულ აკრედიტაციაზე. პროგრამის განვითარების ჯგუფის მიერ უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგები ახალი სტანდარტების შინაარსის გაცნობის მიზნით და მათ გადაეცათ შესაბამისი მასალა. სამუშაო ჯგუფებმა ახალი აკრედიტაციის სტანდარტების იმპლემენტაციის დროს თემატურ შეხვედრებზე მოახდინეს აღნიშნული სტანდარტების გააზრება შინაარსობრივი თვალსაზრისით და მათი ინტერპრეტაცია. სამუშაო ჯგუფებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს სამედიცინო პროგრამების განმახორციელებელ უნივერსიტეტებზე და შესწავლილი იქნა ქართული და უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება. აკადემიური პერსონალი მუდმივად იყო ჩართული პროგრამაზე მუშაობაში, უნდა აღინიშნოს რომ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვთ სხვადასხვა უნივერსიტეტებში, მათ შორის უცხოეთში მუშაობის დიდი გამოცდილება, რაც გათვალისწინებულია პროგრამის შემუშავების დროს. მიუხედავად აღნიშნულისა და ბევრი სხვა ფაქტორებისა აკრედიტაციის საბჭოს 19 ივნისის გადაწყვეტილებით, პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე. მათი მოსაზრებით აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის მაინც და მაინც სამართლიანი და აღნიშნული გამოწვეულია მთელი რიგი გარემოებებით, რომლებზეც ისაუბრებენ დაწესებულების წარმომადგენლები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი წილოსანმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გავლილი აქვს ავტორიზაციის ეტაპი ორი უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. აღნიშნული ეტაპების დროს, გარდა იმისა რომ ხდებოდა მატერიალური, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, ასევე ხდებოდა პროგრამული შეფასებაც. პროგრამასთან მიმართებაში გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინებაზეც იმუშავა კვალიფიციური ადამიანების ჯგუფმა და პროგრამა კიდევ უფრო მეტად დაიხვეწებოდა მას შემდეგ რაც მოხდებოდა მისი იმპლემენტაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დამოკიდებულება მას მოეჩვენა ტენდენციური. უნივერსიტეტის ერთერთი დამფუძნებელი გახლავთ აზერბაიჯანული ეროვნების მქონე ცნობილი მათემატიკოსი, ხაზარის უნივერსიტეტის პირველი რექტორი, რომელიც ასევე დაინტერესებულია, რომ პროგრამამ მოიპოვოს საერთაშორისო აღიარება და მოიზიდოს სტუდენტები. მასთან საუბარში საერთაშორისო ექსპერტმა არ გაიზიარა მისი პათოსი და დაინტერესება და მიუთითა, რომ მას თავის ქვეყანაში გაეხსნა უნივერსიტეტი და განეხორციელებინა ინვესტირება ვინაიდან საქართველოს ეს არ სჭირდებოდა. საქართველოს მთავრობის ერთერთი სტრატეგია არის, რომ ხელი შეუწყოს უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობას იმისათვის, რომ სტუდენტებიც და პედაგოგებიც იყვნენ კონკურენტუნარიანი. ასევე აღსანიშნავი არის, რომ ექსპერტთა ჯგუფის ერთერთი წევრი არ დაეთანხმა დასკვნას და არ მოაწერა ხელი. ვიზიტის დროს არ შედგა საუბარი პროგრამის მიმდინარეობის და ეტაპების განხილვასთან დაკავშირებით. ექსპერტმა არ განიხილა დაწესებულების ლაბორატორიული შესაძლებლობები, არ შევიდა სხვადასხვა პროგრამულ საბჭოსთან ურთიერთობაში, აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე მისი სიტყვა გაგრძელდა საკმაოდ დიდხანს და ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებაც გააჟღერა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასევე მათ აქვთ თანამშრომლობა სხვადასხვა პროექტების ფარგლებში, როგორც არის მაგალითად, erasmus+ ბოლონიის პროცესიდან გამომდინარე, რაც დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, საერთაშორისო ექსპერტის მიერ არ იქნა აღქმული როგორც თანამშრომლობა და იგი დაინტერესდა თუ რატომ ეხმარებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები უნივერსიტეტს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული დახმარება ხორციელდებოდა კანონის საფუძველზე და არა მათთან კარგი ურთიერთობების გამო. ვიზიტის დროს დაფიქსირდა უამრავი ასეთი ნიუანსი, რომელიც მათ განიხილეს იურისტებთან ერთად, რის საფუძველზეც მათ წარმოადგინეს სააპელაციო საჩივარი იმისათვის, რომ მისცემოდათ საშუალება აკრედიტაციის საბჭოზე ხელახლა განეხილათ პროგრამა, მინიჭებოდათ აკრედიტაცია და მოეპოვებინათ საერთაშორისო აღიარება, ვინაიდან ამას იმსახურებდა პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ავთანდილ გაგნიძემ აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით საერთაშორისო ექსპერტი თავიდანვე იყო წინასწარ განწყობილი ტენდენციურად, აკრედიტაციის საბჭოს სხდომა გაგრძელდა ორი საათი სადაც ერთი საათი დაეთმო საერთაშორისო ექსპერტს, რომელიც მონოლოგის რეჟიმში კითხულობდა დასკვნას და შემდეგ შემოდიოდა პოლემიკაშიც. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ექსპერტმა, აკრედიტაციის საბჭოს ზეპირ მოსმენაზე აღნიშნა, რომ საქართველოში ძალიან ბევრი სამედიცინო პროგრამა ხორციელდებოდა და დამატების საჭიროება აღარ იყო, რითაც დააფიქსირა წინასწარი განწყობა. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, ექსპერტის გამოსვლა გამოსვლა საერთოდ არ ეხებოდა პროგრამას, არამედ ის საუბრობდა და ერეოდა საქართველოს საგანმანათლებლო პოლიტიკაში. მან ციტირება მოახდინა ერთერთი სამეცნიერო სტატიის სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოში მედიცინის პროგრამები ბევრია, მაგრამ იმავე სტატიაში ეწერა რომ კურსდამთავრებულები საქართველოში უკეთესად აბარებდნენ საკვალიფიკაციო გამოცდებს ვიდრე სხვები. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, რომ საქართველოს აქვს შედარებითი უპირატესობა სხვებთან რაც მან უნდა გამოიყენოს. როდესაც დგებოდა ვიზიტის დღის წესრიგი, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ განსაზღვრა თუ ვისთან სურდა შეხვედრა, ასევე მაგალითისათვის ექსპერტთა ჯგუფს სურდა ენახა თუ სად ჩატარდებოდა კლინიკაში პულმონოლოგიის სწავლება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, როდესაც დაიგეგმა მატერიალური რესურსის დათვალიერება საერთაშორისო ექსპერტმა განაცხადა, რომ სურდა სხვა რაღაცეების დათვალიერებაც. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასევე ექსპერტს ცალკე შეხვედრა უნდოდა სამეცნიერო კვლევის მეთოდების და ბიოსტატისტიკის ლექტორებთან, როდესაც მოხდა აღნიშნული შეხვედრის ორგანიზება მან უარი განაცხადა აღნიშნულ ლექტორებთან შეხვედრაზე. ექსპერტი დასკვნაში რამოდენიმეჯერ აღნიშნავს, რომ არ ჩანს პროგრამაზე კოლექტიური მუშაობა, მაშინ როდესაც სპეციალურად შექმნილი იყო პროგრამის განვითარების ჯგუფი, რომელიც მუშაობდა პროგრამაზე. ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ შეთავაზეს საერთაშორისო ექსპერტს შეხვედროდნენ პროგრამის განვითარების ჯგუფს, რაზეც მან უარი განაცხადა. ვინაიდან საუბარი იყო უნივერსიტეტის განვითარებაზე და სტრატეგიაზე დაწესებულების მხრიდან შეთავაზებული იყო ექსპერტთა ჯგუფი შეხვედროდა მრჩეველთა საბჭოს, თუმცა ექსპერტებმა არ მოისურვეს აღნიშნული შეხვედრის განხორციელება. საერთაშორისო ექსპერტმა ნაკლად მიიჩნია ის, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობდა სხვა უნივერსიტეტებთან პროგრამის განვითარების მიზნით. ასევე ნაკლად იქნა მიჩნეული ისიც, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი დასაქმებული იყო სხვა უნივერსიტეტებში, მაშინ როდესაც დაწესებულება ჯერ არ ფუნქციონირებდა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მათ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე არ მიეცათ საშუალება ნაბიჯ ნაბიჯ ეპასუხათ რეკომენდაციებზე, ვინაიდან საერთაშორისო ექსპერტის მონოლოგს დიდი დრო დაეთმო. ასევე ექსპერტის შუალედურ დასკვნაში არასწორად იყო მითითებული რიცხვები რაზეც მათ მიუთითეს რამოდენიმეჯერ, თუმცა საბოლოო დასკვნაში მაინც იგივე მონაცემები იყო აღნიშნული. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია თუ რატომ იქნა მიჩნეული ნაკლად სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, როდესაც მათი მიზანი სწორედ ეს იყო. მთავარი პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ მათ არ მიეცათ საშუალება პასუხი გაეცათ საკითხებზე, შესაბამისად მათი მოთხოვნა იყო უნივერსიტეტს ჰქონოდა საშუალება აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე წარმოედგინათ სრულყოფილი არგუმენტაცია.

დისკუსია

საბჭოს წევრმა, თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილებაში, რომელსაც საბჭოს წევრები გაეცნენ დეტალურად, ჩამოთვლილი იყო მთელი რიგი რეკომენდაციები, რომელსაც ამ შემთხვევაში არა ექსპერტები არამედ უკვე აკრედიტაციის საბჭოს წევრები განსაზღვრავდნენ.

ერთერთი რეკომენდაციის თანახმად, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო შესაბამისი გარემოებები, მაგალითად, სივრცე და აღჭურვილობა ლაბორატორიული მუშაობისათვის, პედაგოგის მიერ შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის ფლობა სილაბუსებში აღწერილი უნარების გამომუშავების მიზნით. მას აინტერესებდა, რას ეფუძნებოდა აკრედიტაციის საბჭო ინგლისური ენის კომპეტენციასთან დაკავშირებით ამ რეკომენდაციის ჩამოყალიბებისას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ავთანდილ გაგნიძემ განაცხადა, რომ მათ აღნიშნული რეკომენდაცია წაკითხული ქონდათ და მიიჩნევდნენ რომ ის მოკლებული იყო აზრს, ვინაიდან რეკომენდაციაში მითითებული გარემოებები დაწესებულებას უზრუნველყოფილი ქონდა. რაც შეეხებოდა ინგლისური ენის კომპეტენციას, როდესაც ხდებოდა თანამშრომლების აყვანა, მათი ენობრივი კომპეტენცია დასტურდებოდა ელემენტარულად, ვინაიდან თითოეულ მათგანს უკვე ქონდა გამოცდილება წლების მანძილზე ინგლისურენოვან პროგრამაზე მუშაობის გამოცდილება. რეკომენდაციის მიზეზი გახლდათ კითხვა ექსპერტის მხრიდან თუ რატომ არ ითხოვდა დაწესებულება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც პროფესორი 15 წელი კითხულობს ლექციას ინგლისურ ენაზე მისი მოსაზრებით არ იყო აუცილებელი სერტიფიკატის მოთხოვნა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რაც შეეხებოდა გარემოს, ექსპერტთა ჯგუფმა მატერიალური რესურსის დათვალიერების დროს ნახა ლაბორატორია ალადაშვილის კლინიკაში, რომელიც არ იყო ძირითადი ლაბორატორია ვინაიდან მოცულობით იყო პატარა და გათვლილი იყო მხოლოდ სტუდენტების მცირე ჯგუფზე, კონკრეტული მეთოდის შესწავლის მიზნით. რაც შეეხებოდა ბიოქიმიის ძირითად ლაბორატორიას, რომელიც მდებარეობდა სხვა დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფმა უარი განაცხადა მის მონახულებაზე დროის სიმცირის გამო. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგამოცდო ცენტრის მოწყობასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინეს გეგმა სადაც მითითებული იყო თუ როგორ განხორციელდებოდა მისი მოწყობა. ამავე დროს მათ გაფორმებული ქონდათ ხელშეკრულება "მედიქლაბთან", სადაც ტრენინგების და გამოცდების ჩატარების მრავალწლიანი გამოცდილებაა, მათ დოკუმენტში აღნიშნული ჰქონდათ, რომ სანამ უნივერსიტეტში მოეწყობოდა საგამოცდო ცენტრი გამოცდები ჩატარდებოდა "მედიქლაბში". მატერიალური რესურსის დათვალიერების დროს ექსპერტთა ჯგუფი მისული იყო აღნიშნულ დაწესებულებაში და დაათვალიერეს მოცემული ბაზა. ასევე დაწესებულებას "მედიქალბთან" ქონდა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ როდესაც უნივერსიტეტში მოეწყობოდა საგამოცდო ცენტრი, თუ მათ დაჭირდებოდათ კონკრეტული აღჭურვილობა შესაძლებლობა ექნებოდათ მოეტანათ მათი კლინიკიდან. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლებოდა თქმულიყო, რომ დაწესებულებას რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი უკვე შესრულებული ქონდა.

საბჭოს წევრმა, თეა სიფრაშვილმა განაცხადა, რომ დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები ეხებოდა ძალიან მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამას, სწავლების მეთოდებს, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს. დაწესებულებას ჰქონდა საშუალება რეკომენდაციებთან დაკავშირებით წარმოედგინა არგუმენტირებული პოზიციის შესახებ წერილი, ასევე სხდომაზე დაეფიქსირებინა თავისი ხედვა, თუმცა მათ განაცხადეს, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე მათ ვერ წარმოაჩინეს თავი. ასევე აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, თვითშეფასებას და დაწესებულების პოზიციას. შესაბამისად აკრედიტაციის საბჭო ვერ მიიღებდა განსხვავებულ გადაწყვეტილებას თუ დაწესებულება ვერ მოახერხებდა არგუმენტირებულად პოზიციის წარმოდგენას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ავთანდილ გაგნიძემ განაცხადა, რომ მისთვის ცნობილი იყო თუ რას ეყრდნობოდა აკრედიტაციის საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას, მაგრამ აღნიშნა, რომ სამწუხაროდ აკრედიტაციის საბჭოს, გადაწყვეტილების მიღებისას არ უხელმძღვანელია აღნიშნული გარემოებებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნია თაბაგარმა განაცხადა, რომ შეფასება და რეკომენდაცია შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა ფორმით მითითებული, მიღებული და გაზიარებული. საუბარი შეეხო მიკროძეგვის საკითხს, იმას თუ რა უნდა ენახა და არ ნახა ექსპერტმა, თუმცა ის არ აპირებს აღნიშნულზე საუბარს. მან აღნიშნა, რომ ის ისაუბრებდა პროგრამაზე და აღნიშნა, რომ პროგრამულ ნაწილში არ ფიქსირდებოდა კითხვა და შეფასებული იყო სხვა ასპექტებით. პროგრამა ჯერჯერობით იყო მხოლოდ ფურცელზე დაწერილი და მოიაზრებოდა მეტნაკლებად კვალიფიციური პერსონალი. მან აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასება სრულყოფილი იქნებოდა მომავალში, როდესაც ის შეფასდებოდა სტუდენტის მიერ. რაც არ უნდა შესანიშნავი გეგმები ჰქონდა დაწესებულებას პროგრამასთან დაკავშირებით, სანამ მას არეყოლებოდა მომხარებელი, არ გაივლიდა ადაპტაციას და არ მიიღებდა სათანადო შენიშვნებს ვერ მოხდებოდა მისი განვითარება და დარჩებოდა ფურცელზე. ამისათვის კი პროგრამას უნდა ჰქონოდას განხორციელების საშუალება. მან აღნიშნა, რომ რომ შენიშვნები არ შეხებია პროგრამის სწავლის შედეგებს და მის შესაბამისობას მედიცინის დარგობრივ მახასიათებელთან.

საბჭოს წევრმა, თამარ თორიამ განაცხადა, რომ ოქმის ჩანაწერის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავდა, რომ აკადემიურმა პერსონალმა ვიზიტის დროს ვერ გამოავლინა ის შრომა რაც იყო ჩადებული პროგრამის შემუშავებაში. მას აინტერესებდა სვინაიდან, დაწესებულების თქმით, აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე მათ არ მიეცათ საშუალება სრულყოფილი არგუმენტაციის წარმოდგენის, რამ შეუშალა მათ ხელი ვიზიტის დროს გამოველინათ თავი და აქცენტი გაეკეთებინათ ყველა იმ საკითხზე რაც მიაჩნდათ მნიშვნელოვნად. ასევე ნახსენები იყო, რომ ნაკლები ფოკუსი გაკეთდა პროგრამის შინაარსზე. მას ასევე აინტერესებდა დაწესებულებას, ჰქონდა თუ არა წერილობითი შეთანხმებები "მედიკლაბთან" და "სოკართან" სტუდენტების სტიპენდიასთან დაკავშირებით, თუ ეს იყო მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმებები. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ ასევე ნახსენები იყო დაწესებულების მისამართით განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის წერილი, რომელიც როგორც ექსპერტი აღნიშნავდა დასკვნაში ინსტიტუციას გაეგზავნა იმისათვის რომ წარმოედგინათ ინფორმაცია აკადემიური პერსონალის შესახებ, რომელიც დაწესებულების განცხადებით არ მიუღიათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ავთანდილ გაგნიძემ განაცხადა, რომ "მედიკლაბთან" მათ გაფორმებული ჰქონდათ მემორანდუმი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა ნახა. რაც შეეხებოდა "სოკარს", ვინაიდან ერთერთი დამფუძნებელი იყო აზერბაიჯანული მხარე, საუბარია იყო იმაზე, რომ თუ პროგრამაზე ჩაირიცხებოდნენ აზერბაიჯანული ეროვნების მქონე სტუდენტები, "სოკარი" მათ დაუფინანსებდა სწავლებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ასევე ჰყავთ მოწვეული პედაგოგები ხაზარის უნივერსიტეტიდან და დაფინანსება ეხებოდა მათ ანაზღაურებასაც. რაც შეეხებოდა წერილს აკადემიური პერსონალის დატვირთვის შესახებ, მათ ეს დოკუმენტი წარდგენილი ჰქონდათ დანართის სახით ქართულ ენაზე და ქართველ ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ დოკუმენტს.

საბჭოს წევრი, დავით ჭეიშვილი დაინტერესდა გაეცნო თუ არა დაწესებულება აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმს. იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება იცნობდა სხდომის ოქმს, რის საფუძველზე აცხადებდა, რომ მათ არ მიეცათ საშუალება არგუმენტაციის წარმოდგენისთვის, მაშინ როდესაც სამი გვერდი ეთმობოდა ექსპერტის საუბარს ხოლო ორჯერ მეტი დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციას და ისინი საუბრობდნენ ყველა იმ საკითხზე რაც გაჟღერდა მათი მისამართით სხდომის მსვლელობისას. შესაბამისად მათ ექსპერტების რეკომენდაციებზე გაცემული ჰქონდათ პასუხები აკრედიტაციის საბჭოს ზეპირი მოსმენის განმავლობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ავთანდილ გაგნიძემ განაცხადა, რომ როდესაც მათ მიეცათ სიტყვა, საუბრის დროს პერიოდულად ერთვებოდა ექსპერტიც და იმართებოდა პოლემიკა, შესაბამისად მათ ვერ გაამახვილეს ყურადღება დეტალებზე. იმ შემთხვევაში როდესაც მათ აბრალებდნენ აბსურდულ გარემოებას, რთული იყო თავის მართლება. ოქმში ფორმალურად

ჩანდა, რომ მათ ისაუბრეს თუმცა იყო ბევრი სხვა რამ. შესაბამისად მათ ვერ გასცეს პასუხები პუნქტობრივად და შინაარსობრივად. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ სწორი იყო ის მხოლოდ რაზეც საუბრობდა ექსპერტი.

საბჭოს წევრი, დავით ჭეიშვილი დაინტერესდა თუ რა უპირატესობით სარგებლობდა დაწესებულების პროგრამა და რა იყო მისი განსხვავებული ნიშანი, მაშინ როდესაც როგორც საერთაშორისო ექსპერტმაც აღნიშნა საქართველოში ბევრი მედიცინის პროგრამა ფუნქციონირებდა. მისი მოსაზრებით, ექსპერტის კითხვაც იქნებოდა ანალოგიურად იმ შინაარსის მატარებელი, რომ როდესაც ამდენი პროგრამა მოქმედებდა, რატომ აირჩევდა სტუდენტი მაინც და მაინც მათ მედიცინის პროგრამას. მისი მოსაზრებით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შესაძლებელი იყო წაკითხული ყოფილიყო განსხვავებულ კონტექსტში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნია თაბაგარმა განაცხადა, რომ ექსპერტს რომ დაესვა კითხვა თუ რა განმასხვავებელი ნიშანი ექნებოდა სხვა პროგრამებისაგან მათ პროგრამას, აუცილებლად გასცემდნენ შესაბამის პასუხს. პროგრამების განსხვავებულობაზე როდესაც იყო საუბარი საერთაშორისო კონფერენციებზე მიიჩნევოდა დადებით მხარედ, თუმცა ვინაიდან დარგი იყო რეგულირებადი სწავლის შედეგების მიმართ სახელმწიფო იყო მომთხოვნი. გარკვეულ პერიოდში სამედიცინო პროგრამები ეყრდნობოდა დისციპლინებზე დაფუძნებულ კურიკულუმს. ვინაიდან სამედიცინო განათლება თავისთავად იყო კვლევითი სფერო და თავის დასკვნებში და გადაწყვეტილებებში ისევე ეფუძნებოდა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას, როგორც მაგალითად, მედიცინის და მეცნიერების სხვა დარგები, კვლევებმა აჩვენა რომ განსხვავებული ადამიანები განსხვავებული ტრაექტორიებით და გზებით უფრო ადვილად სწავლობენ, ნაჩვენები უნდა იყოს ინტეგრირების ხარისხი ვინაიდან უსაზომოდ განვითარდა სამედიცინო სფერო, ამიტომ კლინიკაზე, პაციენტზე გათვლილი პროგრამების ფორმირების დროს იკვეთებოდა მრავალფეროვნება ვინაიდან გამოიყენებოდა განსხვავებული მიდგომები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული იყო სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან თემებზე მიდგომა და ასეთი პროგრამები ძალიან საინტერესო და განმავითარებელი იყო სტუდენტისათვის, რაც მათ უტოვებდა მეტ არჩევანს. უნივერსიტეტები ახდენენ გასაგებ ენაზე პროგრამების ფორმულირებას სხვადასხვა მეთოდების გათვალისწინებით. სწორედ აქ იკვეთებოდა მათი პროგრამის განსხვავება.

საბჭოს წევრმა, თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ სააკელაციო საჩივრების დიდი პროცენტი მოდიოდა იმ შემთხვევებზე, როდესაც ექსპერტის დასკვნაში ფორმულირებული იყო მაგალითად, რომელიმე სტანდარტთან შესაბამისობა ერთი სახით და აკრედიტაციის საბჭო, თავისი დისკრეციის ფარგლებში უფლებამოსილი იყო შეეცვალა შეფასება. აღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევაში ექსპერტების დასკვნა, რომელიც საკმაოდ მძიმე იყო ვინაიდან მხოლოდ ერთ სტანდარტთან მიმართებით იყო სრული შესაბამისობა, ხოლო ორი უმნიშვნელოვანესი სტანდარტი შეფასებული იყო შეუსაბამობით, ასეთ შემთხვევაში აკრედიტაციის საბჭო ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მას აინტერესებდა დაწესებულების საჩივარი მიმართული იყო ექსპერტთა დასკვნის თუ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით საჩივარი ეხებოდა იმ საკითხს, რომ აკრედიტაციის საბჭოს შეეძლო სუბიექტური მიდგომა რასაც ხედავდა დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაეზარებინა კრიტიკულად და კი არ დაეწია შეფასება, არამედ აეწია. აქ არ იკვეთება აკრედიტაციის საბჭოს მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება, თუმცა მისი მოსაზრებით დაწესებულებამ ჩატვალა, რომ საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა სუბიექტური დამოკიდებულება.

საბჭოს წევრმა, ნინო კველიძემ განაცხადა, რომ მანამ სანამ დაწესებულება წარსდგებოდა აკრედიტაციის საბჭოს წინაშე და მიეცემოდა პოზიციის დაფიქსირების საშუალება, უკვე იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას საკმაოდ არასახარბილო შედეგით. მას აინტერესებდა რატომ არ ჰქონდა დაწესებულებას წინასწარ მომზადებული უფრო მყარი არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტების დასკვნასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ

გასაგები იყო რომ იყო მონოლოგი, თუმცა ოქმში მართლაც ექვსი გვერდია დაწესებულების პასუხი და რატომ არ გასცეს პასუხი კონკრეტულ უზუსტობებზე იმისათვის რომ აკრედიტაციის საბჭოს უფრო სწორი მიმართულებით მიეღო გადაწყვეტილება. აღნიშნული გარემოება ქმნიდა ერთგვარ ბუნდოვანებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ავთანდილ გაგნიძემ განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ მომზადებული არგუმენტირებული პოზიცია. ასევე აღსანიშნავია, რომ მარტივი იყო პასუხის გაცემა კონკრეტულ ხარვეზზე, მაგრამ როდესაც გაეცნობით დასკვნას, კერძოდ რომელიმე ქვესტანდარტის აღწერილობას იქ არ არის მითითებული კონკრეტული ხარვეზი, თუმცა დასკვნა არის უარყოფითი. ასეთ დროს ჩნდება კითხვა თუ რას უნდა უპასუხოს მხარემ. დასკვნაში არაერთხელ არის ნახსენები ხარვეზის ჭრილში, რომ კონკრეტული გარემოება ვერ აჩვენა ინტერვიუმ, თუმცა აქაც გააჩნია როგორ ჩაატარებს ექსპერტი ინტერვიუს და როგორ ჭრილში შეხედავს. შესაბამისად ძალიან რთული იყო პასუხის გაცემა. აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დაიწყო გვიან და ისე მოხდა რომ დასკვნაც იყო აბსურდული და როდესაც იძლევი პასუხს, პასუხი არის გაუგებარი. მსჯელობა შედგა თუმცა ადგილი ჰქონდა გაუგებრობას. ასევე მისი მოსაზრებით ექსპერტმა გამოსვლის დროს გავლენა მოახდინა საბჭოს წევრებზე. ასევე მათი ბრალია, რომ ექსპერტს შეეცვინ აბსურდულ პოლემიკაში.

საბჭოს წევრმა, ელგუჯა მელაძემ განაცხადა, რომ როგორც აღინიშნა, საერთაშორისო ექსპერტს ჰქონდა შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ეხმარებოდა სხვა უნივერსიტეტი მათ უნივერსიტეტს პროგრამის განვითარებაში. მას აინტერესებს რატომ დაისვა აღნიშნული საკითხი და რატომ დაიწყო ამ თემაზე საუბარი თავდაპირველად. ასევე მას აინტერესებს როგორ განვითარდა მოწვეული საბჭოს წევრების საკითხი ექსპერტებთან დიალოგში. რაც შეეხება პროგრამის განსხვავებას, მისი მოსაზრებით მათ უნდა ეპასუხათ რომ აღნიშნული არის მხოლოდ მათი საქმე, მთავარია მათ შეემოწმებინათ პროგრამა კანონის მოთხოვნების ფარგლებში, ხოლო რაც შეეხება იმ პრიორიტეტებს რითიც დაწესებულება უნდა გამოვიდეს ბაზარზე არის კომპანიის პოზიცია, რომელიც კონკურენციის პირობებში ან მისცემს საშუალებას ან არ მისცემს საშუალებას იყოს წარმატებული. აღნიშნული გახლავთ მხოლოდ და მხოლოდ კომპანიის პასუხისმგებლობა. ასევე მას აინტერესებს "სოკარის" მიერ სტუდენტების დაფინანსების საკითხი და რამდენად უარყოფითად თუ დადებითად იმოქმედა ამან ექსპერტის შეფასების მიხედვით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ავთანდილ გაგნიძემ განაცხადა, რომ ექსპერტს არ დაუსვია შეკითხვა პროგრამის უპირატესობებთან დაკავშირებით, აღნიშნული შეკითხვა დაისვა დავით ჭეიშვილის მიერ და ნია თაბაგარმა გასცა პასუხი. რაც შეეხება "სოკარს" ერთერთი მათი დამფუძნებელი გახლდათ გავლენიანი პირი აზერბაიჯანში და აღნიშნული საკითხი შედიოდა მის ინტერესებში. რაც შეეხებოდა ერთერთ უმთავრეს უპირატესობას, ეს გახლავთ კლინიკები. მან აღნიშნა, რომ ალადაშვილის კლინიკას ჰქონდა უზარმაზარი გამოცდილება სტუდენტებთან მუშაობაში. ასევე აღსანიშნავია იტო, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე არ დასმულა ის შეკითხვები რაც დაისვა სააპელაციო საბჭოს მიმდინარე განხილვის დროს.

13:40 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 13:55 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 2

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ "დიპლომირებული მედიკოსის" (ინგლსიურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს აკრედიტაციის საბჭოს, იმისათვის რომ დაწესებულებას მიეცეს საშუალება წარმოადგინოს დეტალური არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის პირველი პუნქტისა და 28⁷ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლსიურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. თეთრაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო
მდივანი
ჭეიშვილი დავით

